ხუთშაბათი, 15 აპრილი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი 15 აპრილი 1904 წ.

ივერია

№ 90 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 90

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ. — კ.
11 ,, . .	9 ,, 50 ,,
10 ,, . .	8 ,, 75 ,,
9 ,, . .	8 ,, — ,,
8 ,, . .	7 ,, 25 ,,
7 ,, . .	6 ,, 50 ,,
6 ,, . .	6 ,, — ,,
5 ,, . .	5 ,, 50 ,,
4 ,, . .	4 ,, 75 ,,
3 ,, . .	3 ,, 50 ,,
2 ,, . .	2 ,, 75 ,,
1 ,, . .	1 ,, 50 ,,

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

შაბათს, 10 აპრილს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოში

ლადო ალნიაშვილი.

პანაშვიდი დანიშნულია დღეს საღამოს 7 საათზედ, ხოლო წირვა-პანაშვიდი გადახდილ იქმნება ხვალ ქვაშვეთის ეკლესიაში და მიცვალებულს კუკიის სასაფლაოზე დაკრძალავენ.

ნინო და **ალექსი მირიანაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი ძმისა, ხოლო მეორე ცოლის ძმისა

ლადო ალნიაშვილისას

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, მიხეილის სამკურნალო სამლოცველოში საღამოს 7 საათზე. გამოსვენება იქნება პარასკევს, 16 აპრილს, დილის 10 საათზედ. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს ეკკლესიის სასაფლაოზედ. 2—1

სვიმონ და **მარიამ ალნიაშვილები** აცხადებენ გულითადის მწუხარებით გარდაცვალებას დაუვიწყარს

ლადოსას

(ალნიაშვილი).

გამოსვენება დანიშნულია პარასკევს, 16 აპრილს, დილის ათ საათზედ, მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდამ ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზედ. 2—1

Feriendcolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი"-ს

საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ქაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთა-ადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანა არის დანიშნული 15 ივლისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზის ქ. № 46.

(15—1)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—28)

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს"

საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა დ ცოცხალი სურათები. დასასრულ

ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და ქნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—8)

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში კურს-დამთავრებული ეძებს ადგილს კერძო მამულში. ადრესი „ივერიის" რედაქციის კანტორაში. (3—2).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 160 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ოთხშაბათს, 14 აპრილს, საღამოს 7 საათზედ, სამხედრო შტაბის შენობაში დანიშნულია

საზოგადო კრება

კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა; განსახილველი საგნებია:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1903 წლის განმავლობაში.

2) არჩევა სარევიზიო კომისიისა.

3) მოხსენება ბ-ნ დიაჩკოვ-ტარასოვისა «აფხაზეთში».

4) მეთვალყურე კომისიის წევრთა არჩევანი.

5) ნამდვილ წევრთა არჩევანი.

ყოველსა მსურველს შეუძლიან კრებაზედ დაესწროს.

(3—უ—3)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადდებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—2)

ბრენა

ცელულიარული პასტიერის სისტემით მომზადებული შემდეგის ფირმებისა: «**ფ. ბერტოლი** და კ-°» «**ფერრანისა** და **გენტრადისა**», **მ. ბელლონისა**, **ქ. ს. ქრისტოდულიდისა**, «**ე. კონსტანდინიდისა**» და სხვ.; იკითხეთ სასახლის ქუჩაზედ, ქართველ თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ფრანგული კანტორა № 127.

(3—100—2)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ა. დ. ღამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. მ. სობოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

ზ. სელმი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. 1—

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—გორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვის. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

მთავრობის განკარგულება:

1904 წ, 13 აპრილს, მე, ტფილისის გუბერნატორმა, თანახმად კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებლის მიერ 18 იანვარს 1902 წ. გამოცემულ ტფილისისათვის სავალდებულო დადგენილებათა სახელ-მწიფო წეს-რიგისა და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად ღონისძიებათა დებულების მე-15 მუხლის ძალით, დავადგინე: 11 აპრილს ტფილისის სადგურზე საზოგადო მშვიდობიანობის დასარღვევად შეკრებისათვის და პოლიციის კანონიერ მოთხოვნილების შეუსრულებლობისათვის დატუსაღებულ იქმნენ:

ა) ორის თვით:

1. ივანე ბოლქვაძე, სტამბაში მომუშავე.
2. დავით ჭიაბერაშვილი, ქარხანაში მომუშავე.
3. მიხეილ კიკნაძე, ქარხანაში მომუშავე.
4. სოლომონ ქორიძე მჭედელი.
5. მიხეილ ლატკინი.
6. მელიტონ რუსიშვილი, სტუდენტი-ტეხნოლოგი.
7. მარიამ სხოლაძე, მკერავალი.

ბ) ექვსის კვირით:

8. მელიტონ ნოდია, ასოთ ამწყობი.
9. ვარსენტი კოლაძე, წიგნების მკაზმავი.
10. ერასტი ტარატაძე, ასოთ ამწყობი.
11. მიხეილ ბრეგვაძე, სტამბაში მომუშავე.
12. ალექსანდრე ვულფოვიჩი, უსაქმოდ მოსიარულე.
13. დიმიტრი ჯაში, რედაქციაში მომუშავე.
14. გიორგი შარაძე, ასოთ-ამწყობი.

გ) სამის კვირით.

15. ალექსანდრე ჭიაბერაშვილი, ხელოსანი.
16. სერგი ქორიძე, ასოთ-ამწყობი.
17. გრიგოლ ჯაში, სტამბაში მომუშავე.

დ) ერთის კვირით:

18. დავით ქურთაშვილი, ქარხანაში მომუშავე.
19. დიმიტრი ხუთაგურიძე, უსაქმოდ მოსიარულე.

ეს დადგენილება ძალაში 1904 წ. 11 აპრილიდან შედის (კავ.).

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

«ტაიმსის» კორესპონდენტის თვალთ-ნახული.—იაპონიის ფინანსისტები.—წვრილი ცნობები.—ყაზახთა ფლოტი.

გაზეთ «ტაიმსის» კორესპონდენტს, რომელსაც თავის თვალით უნახავს «პეტროპავლოვსკის« დაღუპვა, შემდეგი დეპეშა გაუგზავნია უმავთულო ტელეგრაფით:

როდესაც ადმირალი ტოგო დარწმუნდა, რომ პორტ-არტურის შესავალი ისევ ღიაა, სხვა ხერხი მოიგონა რუსის ფლოტის დასაღუპად. ამისათვის თვითონ ჩაუშვა ნავთსადგურთან მინები და მცირე ესკადრა გაამწკრია შორიახლო, რომ რუსის ფლოტი გამოეტყუილებინა. უმთავრესი ნაწილი კი იაპონელების გემებისა შორს დადგა და უცდიდა. იმ დროს ბურუსი იყო და ეს გემები პორტ-არტურიდგან არა სჩანდა. იაპონელების ხერხმა გასჭრა. რო გათენდა და მზე ამოვიდა, ხმელეთი ბურუსით იყო მოცული კვლავინდებურად, ზღვა კი გაკაშკაშებული. ამის გამო ზღვიდგან ყველა ფერი ნათლად სჩანდა. რუსებმა შენიშნეს იაპონელების კრეისერები და გამოეკიდნენ. პირველად ნავთსადგურიდგან გამოვიდა «პეტროპავლოვსკი», შემდეგ «პობედა», «პოლტავა», «დიანა», «ნოვიკ» და «ასკოლდ». ეს იყო დილის 8 საათზე. კრეისერი «ბაიანი», რომელიც იმ ღამეს იაპონელების ნაღმიანებს შებრძოლებოდა, ამ დროს სხვა გემებს შეუერთდა. იაპონელების კრეისერებმა შენიშნეს, რომ რუსის გემები მინებს უვნებლად გადასცდნენ, და უკან დაბრუნდნენ. ადმირალი ტოგო საჩქაროდ გამოვიდა დალიანვანიდგან, სადაც მისი ესკადრა დამალული იყო, და რუსების გემებისაკენ გაეშურა. მაკაროვმა ბოლი დაინახა, მიუხვდა ეშმაკობას და თავის გემები გაატრიალა პორტ-არტურისკენ. გემებს წინ „პეტროპავლოვსკი“ მიუძღვოდა, რომელიც მინას წააწყდა და სწრაფად დაიღუპა. („პ. ვ.“).

—

„იაპონიის ტაიმსი“ იაპონიის ფინანსების შესახებ ამბობს:

„იაპონიის მთავრობამ განიძრახა ომის საჭიროებისათვის 100 მილიონი იენი ისესხოს. ბანკის ანგარიშიდგანა და საბუთებით სჩანს, რომ ფულის პატრონებს 452 მილიონი იენი შეუძლევიათ მთავრობისათვის. ბანკს გაუცია თავის ბილეთები 49 მილიონისა უმეტნაკლებოდ, ასე რომ თავნზე არა უზარალნია-რა. 33 მილიონისა კი ას-ას იენიანი ბილეთები გაუცია თითო 95 იენად, ასე რომ ას მან. 5 მან. დაუკლია. 17 მილიონიც შეღავათიანის პირობით უსესხნია. ას მილიონიდგან 83 სულ წვრილ-წვრილად არის აღებული მუშა-ოსტატებისაგან.

რაკი 100 მილიონის მაგიერ 452 მილიონი შეაძლიეს იაპონიის მთავრობას, სჩანს, რომ კიდევ სამჯერ შეიძლება ისესხოს, თუ საჭიროება მოითხოვსო. რას იტყვის ამაზედ რუსეთი, რომელიც სულ იმას ამტკიცებს, იაპონიაზე იმიტომ გავიმარჯვებთ, რომ ღარიბიაო. საფრანგეთს ყოველ წელს დეფიციტი აქვს, მაგრამ ის უმდიდრესი სახელმწიფოა. იაპონიის მთავრობა წინადვე ზრუნავდა, რომ ომისთვის სამყოფი ფული ჰქონოდა, და, თუ სურს ვისმე იაპონელების ავლა-დიდება გაიგოს, სჯობს წინად ისწავლოს, როგორ უნდა ფულის შოვნაო. («პ. ვ.»).

—

ბალტიის ზღვაზე შემდეგი გემები გამოსულან პეტროპავლოვსკის დოკიდგან, სადაც შესაკეთებლად იყვნენ შესულნი: ჯავშნიანი გემი «პერვენეც», კრეისერი «აფრიკა», სანაღმო კრეისერები «პოსადნიკ» და «ვოევოდა», სატრანსპორტო გემი «ილმენ» და 20 ნაღმოსანი სხვა-და-სხვა სისტემისა (რ. ვ.).

—

ადმირალი ტოგო თავის ანგარიშში ამბობს, რომ უკანასკნელ შეტაკების დროს პორტ-არტურთან ერთი კრეისერი დამიზიანდაო (იქვე).

—

«მოსკოვსკი ვედ.»-ს არა სჯერა, რომ «პეტროპავლოვსკი» იაპონელების ყუმბარამ დაღუპა. ტოგოს მოხსენება, შესაძლოა, მართალი იყოს «პობედის» დაზიანებისა და არა «პეტროპავლოვსკის» დაღუპვის შესახებაო. ყუმბარას ისეთი ალი არა აქვს, რომ მეზღვაურები აეტრუსაო. მხოლოდ წამლის საწყობების აფეთქებას შეეძლო ორს წამში ისეთი უზარმაზარი გემი დაეღუპა, როგორც «პეტროპავლოვსკი» იყოვო. იქნება, პირველად ყუმბარა გასკდა და საწყობები ააფეთქა; მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ თვით საწყობები აფეთქდაო. რადგან ეხლანდელი წამალი დიდად საშიშია და სახიფათო, ამისთვის ყოველ ახალ გემზედ, უბედურების ასაცილებლად, გასაგრილებელ მანქანებსა ჰმართავენ. «პეტროპავლოვსკი» ძველის სისტემის გემი იყო და გასაგრილებელი არ ექმნებოდაო.

—

ინგლის საფრანგეთის შეთანხმებასა და ხელშეკრულობას შესაძლოა რუსეთ-ინგლისის შეთანხმება მოჰყვეს. მაინცა და მაინც ეს ხელშეკრულობა იმედს იძლევა, რომ ინგლისი რუსეთ-იაპონიის ომში აღარ გაერევა (ნ. ვ).

—

ჩინეთის ქვრივი დედოფალი ძლიერ განრისხებულა, როდესაც გაუგია, რომ მისი სურათი, სან-ლუის გამოფენისათვის გადაღებული, ამერიკის საელჩოდგან ვაივუზში მუშებს გადაუტანიათ, როგორც ჩვეულებრივი ბარგი. დედოფალს უბრძანებია ჩრდილო-ჩინეთის რკინის გზის დირექტორისათვის, ვაიბუდგან საგანგებო რკინის გზის შტო გააკეთეთ, ჩემი სურათი თანძინამდე ამ გზით წაასვენეთ და იქიდგან ამერიკას გაგზავნეთო (იქვე).

—

მთავრობის განმარტებით, ომიანობის დროს სათადარიგო ჯარში გაწვეულთ, თუ რომ სახელმწიფო სამსახურში ირიცხებოდნენ და სამოქალაქო მოხელეობას ასრულებდნენ, ვიდრე ომი არ გათავდება, ანუ მოხელენი თავის თანამდებობას არ დაუბრუნდებიან, ჯამაგირი სრულიად უნდა ეძლეოდეთ, ჯამაგირად ჩაითვლება სასურსათო, სადგომის დასაქირავებელი ფული, პენსია და სხვა (რ. ვ.).

—

«ჩვენი ფლოტი ქების ღირსია, თუმცა ის არ შეადგენს რუსეთის ძლიერებას, ამბობს «ნოვ. ვრ.» თანამშრომელი ვ. კრივენკო. ვისთანაც კი უნდა მოგვიხდეს ომით ანგარიშის გასწორება, ხმელეთის ჯარს უნდა დავემყაროთ. ყველა სახელმწიფოების მხედრობას ერთგვარად სომ ვერ მოაწყობ. მოდი და რუსის დათვს ლაყუჩები გამოასხი». ეს სიტყვები მე შარშანვე გამოვთქვიო-სწერს ბ—ნი კრივენკო,—და მერე განაგრძნობს:

«პეტრე პირველმა დააარსა რუსეთში სამუდამო ჯარი და ფლოტი. ორი საუკუნის განმავლობაში ჯარი გაიზარდა და უშველებელ ძალად გარდაიქცა. ჩვენს მეზღვაურთაც ბევრჯერ გაუმარჯვნიათ და ნამდვილი სიმამაცე გამოუჩენიათ, მაგრამ მაინც რუსეთის ძლიერება ფლოტზე კი არ არის დამყარებული, რადგან მის გასაძლიერებლად შესაფერი ნიადაგი არა გვქონდა, არამედ ხმელეთის ჯარზედ.

ისტორიულმა ვითარებამ ორიგინალური დაწესებულება შეჰქმნა რუსეთში. ეს არის ყაზახობა, რომელიც თავის გემ-ნავებითა და მეზღვაურთ განუსაზღვრელ მამაცობით თავზარსა სცემდა მტერს.

არ შეიძლება კვალად აღვადგინოთ ყაზახების სამხედრო ფლოტი და გავმართოთ გემები, ნაღმოსნები, ნავები და სავაჭრო გემებიც, რომ ყაზახებს შეეძლოთ შორეულ ზღვებზე სიარულიც?

დონისა და ყუბანის ყაზახებს შეუძლიათ შავის ზღვის ნაპირები დაიცვან, ასტრახნისა და ურალის ყაზახები კასპის ზღვაზე იმოქმედებენ, თეთრის ზღვის ნაპირას ადგილობრივი საყაზახო ფლოტი დაარსდებოდა და აღმოსავლეთის ოკეანეზედაც-იქაურ მცხოვრებლებისა. ბალტიის ზღვაზე კი საერთო საყაზახო ფლოტი უნდა იყვეს.

თუ ყაზახთა ნაღმოსანი რაზმები დაარსდა, ბუნებრივი მეზღვაუნი ზღვას არ მოსცილდებიან და შესაძლოა საგანგებო ნაციონალური და მუდმივი ფლოტი შეჰქმნან.

ყოველ ნავის დაღუპვით ხმელეთის ჯარს ახალი ტვირთი აწვება. ჯარიცა და მთლად რუსეთიც თანაუგრძნობს თავგანწირულ მეზღვაურთ, ყველას გული სტკივა, როდესაც იმათ უბედურება დაატყდება; მაგრამ სულით კი არავინ ეცემა, რადგან ხმელეთის ჯარის ძლიერება სწამს. ფლოტსაც კი ჯერ თვისი ძალ-ღონე არ შეულევია; სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მის ძლიერებას მხოლოდ ეხლა იწვევენ იაპონელები. მართლა მოჯადოვებულნი ხომ არ არიან!..

ტფილისი

⁂ კვირას, 18 აპრილს, დანიშნულია საზოგადო კრება ამქართა უსტაბაშებისა და ხელოსანთა დეპუტატებისა. კრებამ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაუნ და განიხილოს.

⁂ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში 20 მაისს ღარიბ თავად-აზნაურთა შვილების დამხმარებელ საზოგადოების კრებაა დანიშნული, კრება განიხილავს საზოგადოების 1903 წლის მოქმედების ანგარიშს, კომიტეტის მოხსენებას ვერაზედ სათავად-აზნაურო სკოლის ახალ შენობის აგების შესახებ და სხვა.

⁂ ტფილისის გუბერნატორის ნებართვით, სოფელ ახალქალაქში—გორის მაზრა—სასოფლო აფთიაქი იქმნება დაარსებული მოკლე ხანში.

⁂ ქალაქის გამგეობას სთხოვეს, ქალაქის ღამის თავშესაფარებში ღამის გამთევთათვის რელიგიური ბაასი გაჰმართეთო. ამ საგნის შესახებ ქალაქის გამგეობას მსჯელობა ექმნება.

⁂ სასანიტარო სამკურნალო გამგეობას ტფილისში ცნობა მოუვიდა, ტფილისის მაზრის რამდენსამე სოფელში მცხოვრებთა შორის ყვავილი გავრცელდაო. მკურნალო გამგეობამ მკურნალი გაგზავნა ყვავილის მოსასპობლად.

⁂ თითქმის ქალაქის ყველა კომისიებმა დაადგინეს, რომ თავიანთ კრებებზედ მიიწვიონ ხოლმე გაზეთის წარმომდგენელნი. უკანასკნელებს მხოლოდ ზოგიერთ საგნის განხილვის დროს არ მიიწვევენ.

⁂ დღეს, 15 აპრილს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებაა დანიშნული.

⁂ როგორც მკითხველთ ამას წინად ვაუწყეთ, ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელთან პარალელური კლასები უნდა მოუმატონ მომავალ სამოსწავლო წლიდან. ამ ჟამად შენობის გაფართოვებას სასწავლებლის გამგეობა უკვე შეუდგა.

⁂ პარასკევს, 16 აპრილს დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო-სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება, რომელმაც ი. ნ. თუმანოვის მოხსენება უნდა მოისმინოს და განიხილოს რამდენიმე საგანი.

⁂ დღეს, 15 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს კრების გაგრძობაა.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, როდესაც ტეხნიკურ საქმეს ვაკეთებდეთ, მოვიწვევთ ხოლმე სტუდენტ-ტეხნიკოსთაო.

⁂ ტფილისში მემამულეთაგან არსდება ახალი ამხანაგობა. ამხანაგობას აზრად ექმნება, მრავლად იქონიოს თესლეულობა და ხილის ნერგები და გაასაღოს მცხოვრებთა შორის. მემამულეებს ამ დღეებშიაც ჰქონდათ კრება და იმედი აქვთ, საქმე ჩქარა მოაწყონ. ნებართვა ამ საზოგადოების დაარსებისა მემამულეებს უმაღლესს მთავრობისთვის კარგა ხანია უთხოვნიათ და ახლა პასუხსდა ელიან.

⁂ ქალაქის გამგეობის სარევიზიო კომისია ამ დღეებში დაათვალიერებს ტფილისის ქალაქის ყველა მიწებს და სამზღვრებს აღნიშნამს.

⁂ გადასწყდა საბოლოოდ ახალი შენობა აგონ ტფილისის კადეტთა კორპუსისათვის. შენობას ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალ შენობის მახლობლად ააგებენ. შენობის მიწას თავ. ბებუთოვებისაგან ყიდულობენ, საჟენს ორ მანეთად.

⁂ ოფიციალურ ცნობათაგან სჩანს, რომ სიღნაღის მაზრაში საქონლის ჭირი ძალიან შემცირებულა. წინად კარანტინი იყო ყველგან შეკრული. კარანტინი 8 აპრილიდამ უკვე გაუხსნიათ.

⁂ გორის მაზრაში, როგორც გვატყობინებენ, ერთობ ცივი ამინდი ყოფილა. ბოლო დროს ხამუშ ხამუშ სიცივეებსაც იჭერს, რის გამოც ხეხილი ჯერ არ გამოსულა. ავდარმა გზები ერთიან წაახდინა, მაგრამ უგზოობას შეჩვეული ხალხი მაინც ყურს არ იბერტყავს.

⁂ შაბათს, 17 აპრილს, საღამოს 8 საათზედ იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრებაა დანიშნული ოლქის სასამართლოს სადგომში.

ლადო აღნიაშვილი.

(† ნეკროლოგი).

ლადო აღნიაშვილი დაიბადა 1860 წ. სოფ. შილდაში (თელავის მაზრა). მამა მისი მღვდელი იყო და ამიტომ თვისი შვილი მისცა თელავის სასულიერო სასწავლებელში. რა გაათავა ლადომ ეს სასწავლებელი, აღარ მოინდომა სემინარიაში გადასვლა და შევიდა გორის საოსტატო სემენარიაში, რომელიც დაასრულა მშვენიერის მოწმობით 1881 წელსა.

სწავლის დროსაც და შემდეგაც ლადო სცდილობდა თვითგანვითარებას, წიგნების კითხვით. ვინც კი ლადოს იცნობდა, უსათუოდ შეამჩნევდა, რომ ლადო წიგნებს გატაცებით კითხულობდა. ერთს წუთს ვერ ჰნახავდით უსაქმოდ მჯდარიყოს და წიგნი არ ეკითხოს.

გორის სემენარიის გათავების შემდეგ, ორი წელიწადი დაჰყო მასწავლებლად ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში. შემდეგ გადავიდა მასწავლებლად ტფილისის კათოლიკეთა სასწავლებელში. დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ამ სკოლის ქართველ კათოლიკეთა მოწაფეების წინაშე. განსვენებული, როგორც შეგნებული მამულიშვილი, გულით და სულით სცდილობდა ჩაენერგა მათთვის გულში, რომ ისინი ტომით ნამდვილნი ქართველნი არიან, ხოლო სარწმუნოებით კათოლიკენი. ეს მოწაფენი ისე გაიტაცა ლადოს მშვენიერმა მოქარგულმა, საამოდ სასმენელმა ტკბილმა დღე-მუდმივმა საუბარმა, რომ ვეღარ ასდიოდა წიგნების დარიგებას. ეხლაც ბევრი მისი გაზრდილი ქართველი კათოლიკე იხსენიებს ლადოს მადლობით: მისის წყალობით გვაქვს შესწავლილი ქართული წერა-კითხვაო.

ვის არ ახსოვს ის დრო, როცა, თუ არ სოფლად და ძველ მომღერალთაგან, ვერ გაიგონებდით მწყობრ საერო სიმღერას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ქალაქ ადგილსაც, რაც უნდა გულით და სულით სდომებოდათ მოეხერხებინათ მწყობრი სიმღერა ქართულ ინტელიგენტებს, მაინც ვერ ახერხებდნენ, რადგან არც წესი იცოდნენ სიმღერებისა და არც კილო. სულ ორი-სამი სიმღერა იყო ჩვენში; უსუსური ბავშვიც იმას მღეროდა და დარბაისელიც. აი ეს სიმღერები: «დილივ დალალე დალალე, ორმოში ფეტვი ჩავყარე«..., «წყალსა ნაფოტი მოჰქონდა», რაღაც გადარუსებული, «მრავალჟამიერ» და სხვა. ახლა კი სულ სხვაა.

სოხუმიდამ მოყოლებული, ვიდრე ბაქომდე, ერთს ისეთს ქართველს ოჯახს ვერ შეჰხვდებით, რომ ათობით და ოცობით არ შეესწავლათ მშვენიერი მწყობრი სიმღერები, სხვა და სხვა კუთხისა: «ქართლ-კახეთისა, გურია-იმერეთ-აფხაზეთისა, არაგვის პირისა და სხვა. ამ ჟამად თითქმის ორასამდე სიმღერა გავრცელდა ჩვენში; ის სიმღერები, რომლებიც ერის სულიდგან ამოვიდა და შესაძლებელი იყო აქნობამდე მთლად დამარხულიყო საუკუნოდ, თუ არ გამოსჩენიყო გულ-შემატკივარი! ვინ იყო ეს გულშემატკივარი? ეს გულ-შემატკივარი გახლდათ იგივე აწ განსვენებული ლადო აღნიაშვილი, რომელმაც განიძრახა 1885 წელს ქართული საერო ხოროს დაარსება. უნდა ესეც აღვნიშნოთ, რომ თვით ლადოს სიმღერისა არა გაეგებოდა-რა და არც სმენა ჰქონდა. ამის გამო მოიწვია თავის ხარჯით ცნობილი ი. ი. რატილი ლოტბარად. და აი, ერთს მშვენიერს საღამოს 1886 წელს, ქართულს თეატრში, მშვენიერ ქართულ ძველებურ ქულაჯებით მორთული 30-მდე კაცი მღერის მწყობრად ქართულს სიმღერებს.

დამსწრე საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ვაშას ძახილით და ტაშის კვრითა ყურთა სმენა აღარ იყო. საზოგადოება დაბრუნდა სახლში სრულიად კმაყოფილი და დაიმედებული, რომ მკვდრეთით აღადგინეს ის დამარხული კილო-სიმღერები, რომელიც სამუდამოდ უნდა შთენთქა ჟამთა ვითარებას, იმისთვის კი არ ვამბობთ ამას, რომ მარტო ლადოს შესძლებოდა ეს ღვაწლი გაეწია და სხვებს ვერა. არა, ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ დროზედ მოუვიდა ფიქრი ამ საქმის განხორციელებისა, რადგან ჩვენი საერო კილო-სიმღერები ეხლაც და მაშინაც სოფლის მხოლოდ დიდ ოჯახებში და მოხუცებულ ხალხში ღა გაისმოდა. სოფლის ახალგაზდათობა კი, ვინც კი დაჰკვირვებია, ეხლაც და მაშინაც მხოლოდ კინტოურს სიმღერებს ეტანებოდა. და აი სწორედ ამ დროს მოიწვია კახეთიდამ, ქართლიდამ, იმერეთიდამ ძველი მომღერლები, გადაალებინა ნოტებზედ ბ-ნ რატილს, დაასწავლა კარგი ხმის პატრონ ახალ გაზდებს და გაგვიხიარა ჩვენ.

როგორც ვიცით ყველამ, ჩვენში «შენჩქმოსას» პირველი ადგილი უჭირავს და შემდეგში ცოტა აირივ-დაირია საქმე, მაგრამ მაინც ერი კი არას ჰკარგავდა. ერთის ხოროს მაგიერ თითქმის ხუთი-ექვსი დაარსდა სხვა და-სხვათა პირთა ლოტბარობით. ვრცელდებოდა სულიერი საუნჯე ერისა-მისი სიმღერა-კილოები მთელს საქართველოში.

ლადოს განზრახვა ჰქონდა აგრეთვე ქართულის საკრავების ორკესტრი დაერსებინა. იყიდა კიდეც ყველა იარაღი, მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანა .. ნივთიერ ღონისძიების უქონლობა ხელს უშლიდა ყველაფერში, რის გამოც ბევრი რამ საქმე დარჩა გასაკეთებელი.

საკვირველი ხასიათი ჰქონდა საცოდავს, თითქოს ჰგრძნობდა, რომ მოკლე დღე ჰქონდა და ეშურებოდა თავის სიცოცხლეს: ერთ საქმიდამ მეორეზედ გადადიოდა, მეორედამ მესამეზედ და სხვ. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე «ქართული წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“—დაარსებაზე. არც მწიგნობრობას აუქცია გზა. შეადგინა ანბანები, გამოსცა უბის ლექსიკონი, რუსულ ენაზედ შეადგინა სახელმძღვანელო: Первый шагъ къ изученію русскаго языка для грузинскихъ школъ, და სხვა-და-სხვა წიგნაკები. თანამშრომლობდა «ჯეჯილში» და სხვა ჟურნალ-გაზეთებში, სხვათა შორის, «ივერიაშიც».

არც შაჰ-აბასის დროს სპარსეთში გადასახლებულნი ქართველნი დასტოვა უყურადღებოდ. 1894 წელს გაემგზავრა თეირანით ისპაანს, რომლის ახლო-მახლო სოფლები ქართველებით არის დასახლებული შაჰაბაზისაგან. ერთი წელიწადი და ოთხი თვე დაჰყო სპარსეთში. მშვენივრად შეისწავლა სპარსული ლაპარაკი, წერა და კითხვა. მე ჩემის თვალით მინახავს ის წერილები, რომელსაც სწერდა იქაურ მეგობრებს და რომელიც მოსდიოდა იმათგან. რა დაბრუნდა იქიდამ, თავის მოგზაურობა «მოამბეში» დაბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნათაც გამოსცა შემდეგის სათაურით: «სპარსეთი და იქაური ქართველები». ეს წიგნი ქებით მოიხსენია ოფიციალურმა ჟურნალმა „Жур. министер. народ. просв.“-ამ.

1896 და 97 წლებში განსვენებული ამოირჩიეს სოფ. საგარეჯოს მამასახლისად. იქაურ მოღვაწეობაზედ ცალკე მოვილაპარაკებთ როდისმე.

არც ვაჭრობას აუხვია გზა, რადგან კარგად ესმოდა მნიშვნელობა ვაჭრობის გაძლიერებისა ქართველთა შორის. კარგად ესმოდა, რომ თუ ქართველი ვაჭარი და მრეწველი ხალხი არ გაძლიერდა საქართველოში, ქვეყანა წინ ვერ წაიწევდა. ამ აზრით დააარსა საზოგადო მაღაზია «შუამავალი», რომელიც მალე იქმნა გაუქმებული, რადგან თვითონ გამოუცდელი იყო ამ საქმეში და საჭირო თანხაც ვერ შეგროვდა პირველშივე. პირველ ხანად-კი ამ საქმემ დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში და თითქო იმედიც იყო, რომ «შუამავალის» ვაჭრობა კარგად წავიდოდა.

უკანასკნელ ხანში განსვენებული შეუდგა დიდის ლექსიკონის შედგენას, ერთი ფორმაც დაიბეჭდა გრ. ჩარკვიანის სტამბაში, მაგრამ ულმობელმა ავად მყოფობამ—ტვინის სიდამბლემ—შეურყია გონება საცოდავს და ოთხის წლის შემდეგ განუტევა სული. სულ იმას ამბობდა ბოლოს დროს, ვიდრე ჭკუაზედ შეირყეოდა: ლექსიკონი არა გვაქვს, ლექსიკონი უნდა შესდგეს კარგი, ვრცელი და შიგ იქმნას მოთავსებული ჩვენის სიტყვიერების საუნჯეო.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო მუშაკო, ლადო!

ივ. მჭ.

ჩვენებური ამბები

სოფ. კახიანური (ქუთაისის მაზრა). სამხრეთით ქ. ქუთაისს აკრავს პაწია და თავისი მდებარეობით კოხტა სოფელი კახიანური, რომელიც დაშორებულია ქალაქ ქუთაისიდან ერთი ვერსის მანძილზედ და გაშენებულია მდ. რიონის მარცხენა ნაპირს, საღორიის აგარაკის ფერდობზედ. ყველაზედ წინად, მთელ საღორიის აგარაკში, აქ დაესახლა სამი გლეხი:

კუჭავა, სტურუა და ხვედელიძე. ისინი წინად არვის აძლევდენ ადგილის ფასსა, რადგანაც არ ვის სცნობდენ ადგილის მეპატრონეთ, გარდა თავიანთი თავისა და არც ვინ გამოჩნდა მეპატრონეთ. ამიტომ სარგებლობდნენ ყველაფრით საღორიის აგარაკიდგან უფასოთ, მაგალითად: შეშით, საძოვრით და ხე-ტყით. თითქმის ს. კახიანაურის მიდამო, დაწყებული ქალაქის საზღვრიდგან, ეგრედ წოდებულ «ბალახვნის ხორხიდგან», მოცული იყო ტყით, სადაც უხვად იყო ნადირი. იმ ადგილს, სადაც ეხლა ბაღდადის გზა-ტკეცილი გადის, წინად საცალ-ფეხო გზა იყო. აქ საშიში იყო გავლა, რადგანაც ონავარი ნადირი ბუზივით ირეოდა, მაგალითად ორმოცი წლის წინად ამავე სოფლის მცხოვრებს ეფ. სტურუას მგელმა სამი წლის ქალიშვილი შეუჭამა. მგელი შევარდნილიყო სახლში, და თავში წაეტანა პირი აკვანში მწოლარე ბავშვისათვის. გამწარებულ დედას ეტაცნა ხელები ყურებში მგლისთვის, გადაჯდომოდა და ისე გამოეყვანა მგელი ეზოში, აქ იმას მიშველებოდა სამუშაოდგან მოსული მეზობელი კაცი დაეშინა ნაჯახი თავში და მოეკლა მგელი. ყმაწვილი-კი ვერ გადაარჩინეს, რადგანაც გაცოფებული იყო.

იმ სამმა მოსახლემ გაჰკაფეს ტყე და ახოებათ აქციეს. გაიჩინეს საქონელი და მიეცნენ მყუდრო ცხოვრებას. რამდენისამე წლის წინად, როდესაც ს. კახიანაურის მიდამოების გამიჯვნა დაიწყეს, იმათ დაჰკარგეს არა თუ ის ადგილები, რომელითაც წინად სარგებლობდნენ, არამედ ისიც, რომელზედაც ესახლნენ. მაშინდელი ქალაქის თავი, აწ განსვენებული ბ-ნი ლ. ასათიანი, რომელსაც პატივის ცემით იხსენიებს აქაური მკვიდრი, შევიდა იმათ გაჭირვებულ მდგომარეობაში და გამოუცხადა, რომ იმათ მიჰყიდონ საეზოვე ადგილი 20 კაპ.—25 კაპეიკამდე ოთხკუთხი საჟენი. განსვენებულმა ლ. ასათიანმავე ნება მისცა ესარგებლნათ ტყით და თანაც დაავალა თვალ-ყური ედევნათ ტყისთვის, რომ ცეცხლი არ გაჩენოდა.

ეხლა ხან ს. კახიანაურში და იმის მიდამოებში ორმოცი მოსახლეა, ამათ აქვთ სამოსახლო მიწები აღებული ქალაქისაგან. მცხოვრებლები მისდევენ სიმინდის მოვლა-მოშენებას და ხელოსნობას.აქ სახნავ-სათესი მიწები ცოტაა და მიწის დასამუშავებლად მთხოვნელთა რიცხვმა კი იმატა, ადგილების იჯარის ფასმაც აიწია ერთი ორად. ამ სამი წლის განვალობაში,—მაგალითათ მე შარშან დავესწარი ერთ-ერთ ადგილის გაცემაზედ,—ერთი აქაური გლეხი მივიდა ადგილის მეპატრონესთან (მეპატრონედ და არა მემამულედ იმიტომ ვამბობ რომ ით ქცევაზედ მეტი აქ არავის აქვს) საიჯაროდ სთხოვა ადგილი, რომელსაც წინად ექვს მანეთად იძლეოდა. ადგილის მეპატრონემ უთხრა: «ვნახოთ, ჯერ მაინც ადრეა ადგილის დამუშავებაო» და გაისტუმრა. იმავე საღამოს იმისმა მეზობელმა, რომელიც გლეხის პირობაზედ კარგად არის, გაიგო თუ არა, ჩემი მეზობელი იმ ადგილს იღებს, რომელიც მე მინდოდაო, მაშინვე მიიჭრა ადგილის მეპატრონესთან: მეპატრონე უარობდა: „შენ სახნავი ადგილი გაქვს და ამიტომ შენ მეზობელს დაუთმეო". თუ ფულზეა საქმე, მე მეტს მოგართმევო და თუ არა, მაშინ მე და ჩემ მეზობელს სასიხლედ ნუ გადაგვკიდებთო და თანაც შეაძლია 10 მანეთი. უბედურების ასაშორებლად მეპატრონემ დაუთმო ადგილი ერთის წლის ვადით მდიდარ გლეხსა.

სწავლა-განათლების მხრივ ამ სოფელს წინ მსვლელობა ეტყობა. თვითეული მცხოვრები ვალდებულად სთვლის თავის თავს მიაბაროს შვილი ქალაქის დაბალ სასწავლებლებში მაინც, ქალაქის სასწავლებლები დაშორებულია ამ სოფლიდგან სამ ვერსზედ. ეს მანძილი მოზრდილთათვის არ არის საშიში, მაგრამ პაწიებისთვის საშიშია და ხშირად ხდებიან ავად გაციებით. იმედი გვაქს, ამ გარემოებას მიაქცევენ ყურადღებას ბალახვნელები, რომელთაც არა აქვთ პირველ დაწყებითი სკოლა, და მეერთდებიან კახიანაურლებთან რომელისამე ჯურის სკოლის დასაარსებლად.

ეკლესიაც დაშორებით აქვთ კახიანაურლებს და ბალახვნელებს. ამიტომ ორივეს სულ ადვილათ შეუძლიათ გაიკეთონ თავისთვის ეკლესია; მაგრამ ამ საქმეს დამწყები და მოთავე ესაჭიროება, საუბედუროთ კახიანაურში კი ჯერ-ჯერობით არვინ არის ამისთანა, ბალახვანაში კი გამოიძებნება ეკლესიის და სკოლის აშენების მოთავენი, თუ მოინდომეს.

რამდენისამე წლის წინად მცხოვრებლებმა სთხოვეს რკინის გზის მთავრობას, მიეცა იმათთვის საურმე გზა სტურუას ადგილიდგან ლიანდაგის გასწვრივ. მთავრობამ დროებით მისცა გზა. ეხლა ქალაქს დასჭირდა გზა ახლად დასახლებულთათვის საღორიის აგარაკად. ამის გამო ერთს წლის წინად მობრძანდნენ: ქალაქის ინჟენერი და ტეხნიკი და გადასწყვიტეს პირ-და-პირი გზის გაყვანა ბალახვნიდგან. სწორი გზის გაყვანით მცხოვრებლები მადრიელნი იყვნენ, თუმც მიწის მოჭრა კი ეწყინათ. ახალი გზის გეგმა წარადგინეს, სადაც ჯერ არს; ზოგიერთ მცხოვრებლებმა გზის გაყვანის დაჩქარება ითხოვეს... ეხლა როგორც ამბობენ წინანდელ გეგმას სცვლიანო, რაიცა არ არის სასურველი ზოგიერთებისთვის, რადგანაც, თუ გეგმა შეიცვალა მომავალ გზას უღელტეხილის მიმართულება ექნება.

სოფ. კახიანაური დასცქერის მდ. რიონს, იმის პაწია კუნძულებს, ხვილიფებს და ჭალებს, რომელიც ამწვანებულია აპრილიდგან ღვინობისთვემდის. სამხრეთ-აღმოსავლეთით აკრავს საღორიის ტყე, ჩრდილოეთით კი ქალაქია, რომელიც კარგი დასანახია საღამოს ჟამზე, როდესაც განათებულია; ქალაქიდგან სანთლები და ფარნები გამოციმციმებენ ვარსკვლავებივით. კარგ ამინდებში სოფ. კახიანაურში ამოდიან მოქალაქენი და მოხელენი, რომელიც ფრანგ ჟანიოს ბაღს ესტუმრებიან ხოლმე. ეს ბაღი, გაშენებული მდ. რიონის ნაპირას, დაშორებულია ბაღდადის გზა-ტკეცილზე ნახევარი ვერსით.

ბაცაჲ.

—

სოფელი ჭაგანი. (ქუთაისის მაზრა) თითქმის ხუთმეტი წელიწადია მას შემდეგ, რაც ხუთმა სოფელმა: ჭაგანმა, ქვიტირმა, პატარა ჯიხაიშმა, ეწერმა და კულაშმა განიზრახეს ცხენის წყლის მდინარიდან სარწყავი წყალის გამოყვანა ეზო-ბაღებ საყანეებზედ. ეს საქმე მთავრობამ დაამტკიცა და სათავედან 6—7 ვერსის მანძილზედ დიდი არხის გაყვანა იჯარადარს ბ. რუხაძეს გადასცეს. ბ. რუხაძემ დიდი არხი გასჭრა და მუშაობა დაამთავრა. ეხლა თითოეულმა სოფელმა თავის საზღვრებში თვითონ უნდა გასჭრას არხები და ისე მიიყვანონ მეზობელ სოფლამდე. ჭაგნელებმა უკვე დაიწყეს თავის ადგილებში არხის გაჭრა და მალეც დაასრულებენ; თუ ღმერთმა ჰქნა და სხვებმაც ამათ მიბაძეს, არხები მალე გაიჭრება და ცხენის წყლიდან წამოყვანილი წყალი არხების შემწეობით მორწყავს ეზო-ბაღ-საყანეს ამ ხუთ სოფლისას და შემდეგ ჩაერთვის მდინარე რიონს.

წყლის გამოყვანა არ დაგვიანდებოდა და ამდენხანს დამთავრებული იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩვეულება არის სოფლის გლეხთა შორის, ერთი ამას არჩევს, მეორე იმას, მესამე უარს ამბობს და უთანხმოებით კი საქმე არ კეთდება. ეხლაც სოფლათ არხის გაჭრაზედ აყალმაყალი აქვთ: ვთქვათ ერთს მოსახლეს 150 საჟენი სიგრძე ადგილი გაეჭრა, მაგრამ წყალი კი ორივეს თანასწორათ უნდა ექნეს სარწყავად. აი ამის გამო მოსდით ლაპარაკი—ამდენი ადგილი გამეჭრა, ფულიც ამდენი გადამხდა და კიდე უნდა უსტაროთ მამუშავოთ, ეგ რა კანონი არისო; ერთი ორი დღე ჩემზედ მეტი მაინც იმუშაონ იმათ, ვინც ადგილი არ გასჭრაო,—მართალიც ირის და აბა რა არის აქ თავ-სატეხი? არაფერი!...

თუ წამოწვიმა, თქვენი მტერი, ჩვენს სოფელში არა თუ ქვეითს, ცხენოსანსაც გაუჭირდეს გავლა გზაზედ. მიზეზი ის გახლავს, რომ ძველი მამასახლისი, რადგან ვადა უთავდებოდა, არ იყო მონდომებული გზები გაეკეთებინა. ეხლა მამასახლისად მოვარჩიეთ ახალგაზრდა კაცი, ბ. იოსებ ზაქრაძე, რომელიც ენერგიულად შეუდგა საქმეს და თავ-გამოდებულია, სოფლის გზები დაჩქარებით შეაკეთოს და არხიც მალე გააჭრევინოს, რომ წყალი მზად გვექნეს კვირიკობ-მარიამობის თვეში სარწყავად. ახალი მამასახლისი ძალიან ბევრს რამეს გვპირდება და იმედი გვაქვს, კიდეც შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ ეშმაკმა არ შეაჯდინა თავის ჯორზედ.

ხმა გავარდა: კონკა «გამოდისო», მართლაც ვიღაც ნიჟარაძეს, როგორც ამბობენ, ნება აუღია ცხენის რკინის გზა (კონკა) გაიყვანოს სამტრედიიდამ ხონამდე, და რადგან სამტრედიიდან ხონი ჭაგანში გავლილ გზით უფრო ახლოა, ვიდრე ქვიტირში გავლილი გზით, ამიტომ სასარგებლოდ მიუჩნევიათ «კონკა» ხონიდან სამტრედიამდე ჭაგანით გაატარონ. ჭაგნელებმა გზისთვის ადგილი დაუთმეს კონცესიონერებს უსასყიდლოთ; რამდენათ მართალი გამოდგება ეს ამბავი, მომავალში ვნახამთ.

ჩვენი სოფელი ჭაგანა სახელგანთქმული სოფელია მთელ იმერეთში. არაოდეს ცუდ საქმეში არ ყოფილა შენიშნული. მხოლოთ ამ მოკლე ხანში ჭაგანი სამ ნაწილათ გაიყო ეკლესიის აშენების გამო. პირველ ნაწილს, უმრავლესობას, სურს შტატის ეკლესია იქნეს საშუალო ადგილს, მეორეს—საჯვარე აქვს და იქ თხოულობს შტატს—მესამესაც საჯვარე აქვს და ისიც იქ თხოულობს შტატს. ერთს მეორის რჩევა არ მოსწონს, მეორეს მესამისა. ამან გამოიწვია «დანოსები», ერი მღვდლებს უჩივოდა, მღვდლები—ერს. ამას ის მოჰყვა, რომ საჯვარეები ისევ ძველ ყოფაში დასტოვეს და ჭაგნის ორივე მღვდლები, შენგელიები, სხვაგან გადიყვანეს. მათ მაგიერ სხვა მღვდლები დაგვინიშნეს. თუმცა ეს ახლად დანიშნულნი ძალიან პატიოსანნი არიან, მაგრამ ნათქვამია: შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო, ამისი არ იყოს, როგორც ჩვენი სოფლის შვილნი, ორივე მღვდლები შენგელიები, როგორც ცოლშვილიანები, ძალიან ცოდნი არიან, რომ ათი—ხუთმეტი ვერსით დააშორეს თავიანთ ოჯახცოლშვილს, თუმცა-კი «რომლითა საწყაულითა მათ მიუწყეს, იმავე საწყაულით მათ მიეწყოთ».

სპირიდონ ხვიჩია.

—

ს. კალაგონი (გურია).

1898 წელს ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა დასწვეს მღვთის მშობლის ხის ეკლესია ს. კალაგონში. მრევლმა იმავე წელს გამოიტანა ნებართვა და შეუდგნენ ქვის შენობას, რომელიც დამთავრეს 1903 წ., წარსულს ენკენისთვის 26. საკუთრად 26 ენკენისთვეს მოიწვიეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, რომელიც მობრძანდა კიდეც. ამ ეკლესიის შენობაზე დიდი შრომა მიუძღვის, როგორც საქმით, ისე ფულით და უხვის შეწირულობით. ბ-ნ დიმიტრი ხუნდაძეს, რომელმაც კანკელიც შესწირა.

ახლად აშენებული ეკლესია მდებარეობს მაღლობ ადგილას, სიდიდით ზომიერია. გარედგან მნახველი იტყვის, ჩამოსხმული უნდა იყოსო, ისე კარგად არის ნაშენი. კანკელი მშვენიერი ხელოვნებისაა, ტილოზეა დახატული. ეკლესიას გალავანს მეტად ამშვენებს ერთობ მაღალი ნაძვები.

ამ ძვირფასს ტაძარს მეტად ღარიბი მრევლი ჰყავს, მაგრამ, ღვთის წყალობით, ისე აშენდა, რომ ვალი არ აქვს ეკლესიას. დიდი მადლობის ღირსია ეკლესიის აგებისათვის ბ-ნი დიმიტრი იესეს ძე ხუნდაძე,რომელმაც, როგორც ვსთქვით, არც შრომა და არც თვის საკუთარი ჯიბე არ დაზოგა ამ კეთილის საქმისათვის.

კალაგონელი.

თეატრი და ხელოვნება

(ბაქო).

ერთი სასიამოვნო მოვლენა უნდა აღინიშნოს ბაქოს მიდამოში დაბინავებულ ქართველების ცხოვრებისა: მე მოგახსენებთ ქართულ წარმოდგენაზედ, რომელიც ფეხს იკიდებს ამ ბოლოს დროს, წინად თუ მთელის წლის განმავლობაში ძლივს ხერხდებოდა ორიოდე წარმოდგენა, ამ ბოლო ხანებში, ყოველ კვირას თუ არა, ორ კვირაში ერთი წარმოდგენა მაინც იმართება. წარმოდგენების სიხშირე იმდენად არ გვაიმედებს, რამდენადაც ის გარემოება, რომ ყოველ წარმოდგენას, უმთავრესად კი სახალხოსას (იაფ-ფასიან 5 კაპ. დაწყობილი), საკმაო მაყურებელი ესწრობა და ეს გარემოება ხომ თვალსაჩინო საბუთია იმისი, რომ ქართულ სცენასაც აქ შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, არამედ უფრო მტკიცედ უნდა მოიკიდოს ფეხი და ამით ცოტაოდენი სულიერი საზრდო არ მოაკლოს აქეთკენ გადმოხვეწილ თანამოძმეთ.

ბაქოსკენ ქართველმა ელემენტმა, უფრო კი შრომის მძებნელმა, შესამჩნევად იმატა; მოგეხსენებათ, თანამედროვე ცხოვრების ვითარება აიძულებს უმიწაწყლოდ დარჩენილ, ათას გვარ გადასახადებით დაბეჩავებულ, მშრომელ ხალხს, რომელიც სამშობლოს ახლო-მახლო ვერ იყენებს თავისს ძალ ღონეს, დაშორებით მაინც ეძიოს სახსარი ცხოვრებისა. გაგონილი აქვს ბაქოს საზღაპრო სიმდიდრე, სამუშაოს შოვნის გაზვიადებული სიადვილე, სტოვებს სახლ-კარს და იხვეწება აქეთ «ბედის საცდელად», მაგრამ, სამწუხაროდ, მოტყუვილებული რჩება არა იშვიათად. სხვა ერის მშრომელ ხალხზედ რა მოგახსენოთ. და ქართველთ ელემენტს კი, როგორც ომის წინადაც ვაუწყე «ივერიის» მკითხველებს, ძალიან უპიროდ დაუხვდებიან ხოლმე აქ. სომეხია, ევროპელი, თუ რუსი,—აქ ყველა აშკარად თავიანთებსვე უწვდიან ხელს და ქართველი კი გარიყული რჩება.

ასეა, თუ ისე, კუჭი თავისას ითხოვს და ამიტომ ქართველების რიცხვი მაინც მატულობს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შედარებით აქ უფრო ადვილად შეიძლება სამუშაოს შოვნა.

ჩვეულებრივ წარმოდგენებთან ერთად იმართება უფრო სისტემატიურად სახალხო, იაფ ფასიანი წარმოდგენები, რომელსაც ხელ-მძღვანელობს სცენის მოყვარულთა ამხანაგობა.

ერთი ასეთი სახალხო წარმოდგენა გაიმართა კიდევ გუშინ საღამოსაც, 1-ს აპრილს, რკინის გზის დეპოს შენობაში. პატივცემულ მსახიობ ქალის ქ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქმნა ავ. ცაგარლის 3 მოქ. კომედია «ხანუმა», საჭიროდ ვსთვლით აქვე მოვიხსენიოთ, რომ ქ-ნ ანდრონიკაშვილს ჯერ უარი არ უთქვამს და ყოველთვის ხალისით იღებს მონაწილეობას წარმოდგენებში, და ხომ უწყით, ეს მსახიობი ერთი-ორად აცხოველებს პიესის მიმდინარეობას. როგორც ყოველთვის, გუშინდელ თამაშითაც მესამჩნევად ირჩეოდა ქ. ანდრონიკაშვილი ხანუმას როლში. ქ. ანდრონიკაშვილმა ცოცხლად დაგვიხატა, რომ მართლაც «ბევრი რამ შეძლებია მაჭანკალ ხანუმას». ისეთი რიხით, სახის მეტყველობით და მედგარ, დაბეჯითებულ კილოთი გადმოგვცემდა; «შვიდი ღვდელი გავაკრეჭინეო», «სამს არხიმადრიტს ცოლი შევრთეო». «ქმარი თავისავე ცოლს მეჯვარეთ გავაყოლეო»—და სხ., რომ მაყურებელი უნებლიეთ პირ-ჯვარს ისახავდა და გული გითხობდათ: «ღმერთო დამიფარე ამ გვარის დედაკაცისგანო!»..

ბ-ნ მ. შველიძეს ორი როლი ეკისრა: გლეხის ტიმოთესი და დარდიმანდი მოქეიფე აკოფასი. ამ ნიჭიერ სცენის მოყვარეს სინიდისიერად როლის შესწავლა და ძალ-ღონე ნებას აძლევს ხელოვნურად—ბუნებრივად დაგვიხატოს ტიპები, მაგრამ მისს თამაშს ჩრდილავს გადაჭარბება: გლეხ ტიმოთეს როლში ბ-ნი შველიძე უფრო «მოიკინტოებდა», თუ შეიძლება ასე თქმა, და ცაგარლის-მიერ ისრეთაც მადლიან კალმით დახატულ მხიარული და მკვიცხლ-გონებიანი ტიპი აკოფა, შირაქამდე მიიყვანა. ნამეტნაობა ეტყობოდა თვალების ტრიალში, მიხვრა-მოხვრაში და ხელების შლაში.

სინამდვილესთან უფრო ახლო გვეჩვენა თამაში ამ უკანასკნელის ძმის, ბ-ნ დ. შველიძისა, ვანო ფანტიაშვილის როლში, თუმცა, ამ როლისათვის შეუფერებელ ხმას მეტად უმაღლებდა.

მაჭანკალს ქაბატუას და მოხუც სარას როლებში გვიჩვენეს ქ-ნი ნადირაძისა. ამ მანდილოსანს ხელს უწყობდა 1, სასცენო გარეგნობასთან ერთად, მკაფიო გამოთქმა; ჯეროვან შთაბეჭდილებასაც სტოვებდა ლაპარაკის დროს და, როცა კი სათქმელს მორჩებოდა, სცენაზედ ისრე ეჭირა თავი, გეგონებოდათ იმ მოქმედებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს და გარეშე მაყურებელიაო. ორ სხვა-და-სხვა როლს თამაშობდა, მაგრამ მიხვრა-მოხვრა, და გრიმიც ერთი და იგივე ჰქონდა; ასრე რომ ბევრმა ვერც კი გაიგო, როდის იყო ქაბატუა და როდის-სარა; როდის თავდებოდა ერთი და იწყებოდა მეორე. საზოგადოდ ცოტა მეტ გრძნობას, სახის მიმიკის და მიხვრა-მოხვრას რომ შეუფარდებდეს თავისს თამაშს, ქ. ნიდირაძისა ღირსეულ ადგილს დაიჭერს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა შორის.

თითქმის ესევე ითქმის მესამე მოთამაშე მანდილოსანზედ, ქ. შველიძისაზედაც. ქ. შველიძისა რამდენადაც კარგია ხოლმე ვოდევილებში, იმდენად ნაკლებ ბუნებრივათ გვეჩვენა სონა დ თეკლეს როლებში და ეს იმათ აიხსნება, სხვათა შორის, რომ გრძნობა მცირე იყო იმის თამაშში და მხოლოდ ზეპირად კარგად დასწავლილი ფრაზები გვესმოდა სცენიდგან. იქნება ამას სხვა მიზეზიც ჰქონდეს, მაგრამ ქ. შველიძისას ყოველთვის შეუძლია ტიპების უკეთესი გაპიროვნება და ამიტომ მეტსაც ვითხოვთ.

თავისსავე ადგილას იყო და საზოგადოებას მოეწონა კიდეც ბ-ნი გ. ნუკრაძე - მიკიჩას როლში: ნამდვილი «ფოდრადჩიკი» იყო, მაგრამ... სიტყვებს მეტად აპრტყელებდა, რაკი ამ სიტყვებს ისრე მოელოდა სუფლიორისაგან, როგორც ციურ მანანას. ვურჩევთ ბ-ნ ნუკრაძეს: მეტი შრომა გასწიოს ხოლმე და როლი უკეთ შეისწავლოს. ბ-ნი ნადირაძე კოტე ფანტიაშვილის როლში «გვარიან» მოისუსტებდა, თუმცა შეიძლება საჭირო ძალაც იყოს აქაურ სცენისათვის.

საზოგადოდ ანსამბლი არ დარღვეულა. დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი და მადლობელი დარჩა, რამდენ-ჯერმე გამოიწვია მოთამაშენი და ტაშის ცემით დააჯილდოვა.

გ. ახალციხელი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 აპრილი.

ბელგრადი. მოვიდა რუსის ელჩი გუბასტოვი.

ლონდონი. («რეიტერის სააგენტო»). საზოგადოებათა პალატა. ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ბროდრიკმა განაცხადა, თიბეთის ექსპედიცია გიანგცზეს იქით აღარ წასულა. დალაი-ლამასაგან არავითარიმე ცნობა არ მოსულა.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო»). რადგან დიდძალი ნაღმია ჩაყრილი პორტ-არტურსა და დალნის შუა, ამიტომ იაპონიის გემთა საზოგადოებანი, რომელთა გემები მიმოგზაურობენ ყვითელ ზღვაზე, აღარ მოგზაურობენ ჩემულპოს იქით. იაპონიის კრეისერმა «აზმამ» ააფეთქა ნაღმი, რომელიც ნახა შანდუანის კონცხიდან ორმოც მილის მანძილზე. შიშობენ, რომ დიდძალი, ზღვაში თავისუფლად მცურავი ნაღმები, წაუღია ზღვის ტალღებს სამხრეთისაკენ, ამიტომ გემთა მოგზაურობა დღისითაც სახიფათოაო. ჯერ არ არის მოგონილი ისეთი საშუალება, რომ ასცდნენ ამ ხიფათსა.

ბერლინი. ტოკიოდან იტყობინებიან, რომ იაპონიაში შეუდგნენ ოთხი დივიზისათვის ჯარის შეგროვებას, სახელდობრ 5, 8, 10 და 11-სას; "ამათგან შესდგება მესამე ლაშქარი. ლაშქარის სარდლად ნოდძუ იქმნებაო. ორი პირველი ლაშქარი თითო ასი ათასი კაცისგანაა შემდგარი და არა სამოციათასისგან, როგორც ეგონათ. როგორც ეხლა გამოირკვა, სათადარიგო ბრიგადებიც შეაგროვეს, ასე რომ პირველი ლაშქარი შესდგება 2 და 12 გვარდიის დივიზისაგან და 2 და 12 სათადარიგო ბრიგადისაგან, მეორე 1, 3 და 4 დივიზიისაგან და 1, 3 და 4 სათადარიგო ბრიგადისაგან.

ჩელიაბინსკი. აზიის საზღვარს მიეედი და მსწრაფლი რაზმი შტალმეისტერ როდზიანკოსი გულითად სალამს უგზავნის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს. ყველანი კარგა არიან.

ალექსანდროვსკი. (ეკატერინოსლავის გუბერნია). 11 აპრილს ქალაქის და ერობის წარმომადგენელნი შეეგებნენ ჩემულპოს გმირებს.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო»). უცხოელ ატაშეებმა, რომელნიც პირველ ლაშქართან არიან, ცნობა მიიღეს, შაფათისათვის წასასვლელად მზად იყავითო.

ათინა. საბერძნეთის ფლოტი ჯერ არ წასულა, იმედი აქვთ, რომ სმირნაში მომხდარი ინციდენტი მშვიდობით გათავდებაო.

რომი. 12 აპრილს კვირინალში საპატიო სადილი გაუმართეს პრეზიდენტს ლუბეს. მეფემ და პრეზიდენტმა სადღეგრძელოები წარმოსთქვეს.

ალბერონა. ექვს საათზე დილით გემი „ჰოგენცოლერნი'' მივიდა ნავსადგურ მალამოკკოს, ვენეციის ახლო. იმპერატორმა ინახულა თანამდებობის კაცნი და გერმანიის კონსული. 13 აპრილს ვენეციას წავა.

ლონდონი. («რეიტერის სააგენტო»). ლხასსში ჩინეთის ამბანმა პოლკოვნიკ იონგზეზბანდის წერილი მიიღო, პოლკოვნიკი აცნობებს, იმედი მაქვს, გიანგცეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისვლის დროს, შევხვდები ჩინეთის ამბანსა და თიბეთის უმთავრეს თანამდებობის კაცთა ხელშეკრულობის დასადგენადო. ამბანმა უპასუხა, სამი კვირის შემდეგ მივა გიანგცის და თან იახლებს თიბეთის მოხელეს. დალაი-ლამა კი ჯერ უცდის, არა ჩქარობს, რადგანაც ჯერ კიდევ რუსეთის შემწეობის იმედი აქვს.

კოპენჰაგენი. დანიის, შვეციის და ნორვეგიის მთავრობანი შეთანხმდნენ, რომ სამთავე სახელმწიფოებმა ნეიტრალიტეტის შესახებ ერთნაირად იმოქმედონ.

ნეაპოლი. საფრანგეთის ესკადრა მოვიდა.

პორტ-არტური, 13 აპრილი. წყალქვეშ მავალი ნავები გაშინჯეს, მშვენიერი აღმოსჩნდა. პორტ-არტურის მიდამოებში მყუდროებაა.

ვენეცია. იმპერატორი ვილჰელმი ძალიან კარგად მიიღეს. იმპერატორი მოგზაურობით ნასიამოვნებია, კარგად არის ჯანზედ, გარეგანი შეხედულებაც კარგი აქვს.

მადრიდი. დილით მოვიდა მინისტრ-პრეზიდენტი მაურა. გზაზე ალიკანტსა და ლაენჩიას შუა იმ ვაგონს, რომელშიაც მაურა იჯდა, ტყვია ესროლეს; ტყვია ჰერს მოხვდა და ვნება არავისთვის მიუყენებია.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო»). მინამ იაპონიის გემს «გოიომარეს» დალუპამდნენ, რუსებმა გემის მსახურთ უბრძანეს ნაპირზე გადამსხდარიყვნენ, გენზანში.

სეული. («რეიტერის სააგენტო»). რუსეთის ესკადრამ გენზინი დასტოვა.

ტიანძინი. («რეიტერის სააგენ.») აქ ხმაა, რომ ორშაბათ ღამე იაპონელები ნიუ-ჩუანას სიმაგრეებს ყუმბარებს ესროდნენო.

რომი. ლუბეს პატივისაცემად პარადი გამართეს. დედოფალმა და ლუბემ ერთად ეტლით ჩამოუარეს ჯარებს, მეფე ცხენით მისდევდა, თან ახლდა შტაბი

14 აპრილი

ბერლინი. (სპეციალური). ლონდონიდან იტყობინებიან, ხაკოდატედამ დეპეშაა, რომ იქ მზად არის წასასვლელად იაპონიის ათი სატრანსპორტო და რამდენიმე სამხედრო გემი. სამხედრო გემები დასაცველად გაჰყვებიან.—როგორც იოკოგამიდან იტყობინებიან, იმედი აქვთ, რომ მომავალ თვეში ჩემულპოში დაძირულ რუსის კრეისერს «ვარიაგს» ამოიღებენო. შანხაი-გუსანიდან იუწყებიან, რომ პორტ-არტურის მიდამოებში რუსები ახალს სიმაგრეებს აკეთებენო. რუსის აფიცრების აზრით, პორტ-არტურის აღება ერთობ ძნელიაო.

პეტერბურგი. უმაღლესად დაათვალიერეს გრენადერის პოლკი და ურალის ყაზახთა ასეული (სოტნა).

კრონშტადტი. პეტერბურგიდან მოვიდა საესკადრო ჯავშნიანი გემი «ბოროდინო».

სოფია. (ოპოზიციის ცნობებით) გენერალი დე—ჯიორჯისი სალონიკიდან მონასტერს წავიდა. უცხოელი აფიცრები შეუდგნენ თავის მოვალეობის ასრულებას სალონიკში ჟანდარმების გადაკეთების შესახებ.

14 აპრილი.

პეტერბურგი. დაინიშნენ: ნამესტნიკის განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი კოზლოვი—განსაკუთრებულ მინდობილობითა გენერლად ნამესტნიკთან; სამხედრო სამინისტროს წევრი გენერალ-მაიორი ეზერსკი მანჯურიის ჯარების გოსპიტლების ინსპექტორად; ნამესტნიკის განკარგულებაში მყოფი პოლკოვნიკი ვორონოვი მისს უდიდებულესობის ნამესტნიკის უმთავრეს სამხედრო შტაბის კამენდანტის თანამდებობის აღმასრულებელად.

ვიტებსკი. დღეს დიდის ქარის დროს დაიწვა ქალაქის განაპირა ადგილი—ილინშინა, რომელიც განსაკუთრებით ღარიბებით არის დასახლებული. ცეცხლი დიდს ადგილას მოედო და კიდევ უკიდია, დაიწვა ძველის-ძველი ილიას ეკკლესია.

არიოლი. საღამოს 7 საათზე მოსკოვ-კურსკის რკინის გზით მოვიდნენ «ვარიაგისა» და «კორეეცის» მეზღვაურნი. გმირები დიდის ამბით მიიღეს. ვაგზალზე შეიკრიბნენ გებერნატორი ბალიასნი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, ქალაქისა და ერობის წარმომადგენელნი, მოსწავლენი და აუარებელი ხალხი. ქალაქის დეპუტაციამ პურ-მარილი მიართვა. ფლიგელ-ადიუტანტს რუდნევს კერძო პირებმა მიართვეს ოქროს დაშნა აფიცრებს სადილი გაუმართეს ჯარის-კაცთა წვეულება გაუმართეს. ნახევარ საათის შემდეგ «ურას» ძახილი და მუსიკით გააცილეს მატარებელი მოსკოვისაკენ. გასაოცარი აღტაცებაა.

ადენი («რეიტერის სააგენტო»). ქალაქ ილლინგს ყუმბარები დაუშინეს, სულთანი ილლიგისა ტყვედ წაიყვანეს.

რომი. ლუბეს პატივისაცემლად გამართულს სამხედრო სადილზე, მეფემ და ლუბემ ერთმანერთის სადღეგრძელოები დალიეს.

პორტ-არტური. (საკუთარი კორესპ.). 14 აპრილს «ნოვი კრაიში» დაბეჭდილია წესები სამხედრო კორესპონდენტებისათვის, რომელნიც რუსეთის ჯარში არიან შორეულს აღმოსავლეთში.

პორტ არტური. 14 აპრილი (საკუთ. კორესპ.): 7 საათსა და 55 წუთზე დილით პორტ-არტურის მიდამოებში ცვლილება არა იყო. წყალში ქვეშ მავალ ნავებს გაშინჯვის გამო „ნოვი კრაი“ ამბობს, ჩვენს დიდებულს ფლოტის მოქმედებას ახალი ხანა დაუდგაო.

სევასტოპოლი. ვლადიმირის ტაძარში სამგზავრო პარაკლისი გადაუხადეს ჯავშნიან გემის «სევასტოპოლის» 55 მეზღვაურს, რომელნიც ახლად მიდიან აღმოსავლეთისკენ; უწინ ესენი სეულის მისიის მცველად იყვნენ. მეზღვაურებს ადმირალ სკრიდლოვისაგან გაგზავნილი ხატი გადასცეს, რომელიც იმას ათონზე მისცეს. ტაძრის წინამძღვარმა შესაფერი ქადაგება სთქვა და პარაკლისის შემდეგ ხატით დალოცა სეულის მისიის მცველი უფროსი ლეიტენანტი. პარაკლისის შემდეგ ვიცე-ადმირალი კრიგერი ტაძართან მიესალმა მეზღვაურთა და უთხრა: «ჩვენის ყოფილ მთავარ კამანდირის, რომელიც ამ ჟამად თქვენის ფლოტის უფროსად დაინიშნა, და შავის ზღვის მეზღვაურთა სახელით გისტუმრებთ შორს გზას ამ წმიდა ხატითა, თქვენ ამხანაგებთან შორეულს აღმოსავლეთში. გარდაეცით, ჩვენ ვხარობთ იმათის სიხარულითა და ღრმად ვწუხვართ იმ უბედური შემთხვევებისაგამო, რომელიც ყოველ ომში აუცილებელია. გარდაეცით, რომ ჩვენ მუდამ ვილოცავთ, რომ მიანიჭოს მტერზე გამარჯვება ჩვენის სათაყვანებელის მეფის სასიხარულოდ და სადიდებლად ღვთისა. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და ხატი ესე მაკურთხეველი თქვენი» ამის შემდეგ მეზღვაურნი კაზარმებში წავიდნენ.

კალუგა. მოვიდა დიდი მთავარი სერგი მიხეილის ძე მესამე არტილერიის ბრიგადის გასაშინჯავად.

ნიუ-ჩუანი. («რეიტერის სააგენტო»). ორს იაპონელს, რომელნიც კორესპონდენტებისაგან დაქირავებულ გემზე დაიჭირეს, ორი კვირის შემდეგ რუსეთის სამხედრო მოხელეებმა ჩვენება ჩამოართვეს, გაანთავისუფლეს და ჩიფუში მიიყვანეს.—მოხელენი ამბობენ, რუსებმა იაპონელთა რამდენიმე ნავი დაღუპეს წყალშიო, იალუზე ამის მეტი სხვა ახალი შეტაკება არ მომხდარა. არც ერთი დიდი რაზმი იაპონელთა ჯერ იალუზე არ მოსულა და არც გადასულა მდინარეზე. რუსებს ისევ ძველი ადგილები უჭირავთ იალუს დასავლეთით. ის ამბავი, ვითომ კურობატკინმა ფინხუანჩესა და ლიაოიანისაკენ დაიწია, ტყუილიაო.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 72 8 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღე ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით)·

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათუმისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2 ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: დილის 6 ს 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, თვისის წესდების 91 §-ის ძალით, აუწყებს ზემოხსენებულ ბანკის ბინთ რწმუნებულთ, რომ ამა წლის 18 მაისისათვის, დილის 10 საათზედ, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისში, დანიშნულია

საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1903 წ. საოპერაციო წლის განმავლობაში და ზოგადი მის შესახები მოხსენება.

2) მოხსენება იმისი, თუ რა მდგომარეობაშია ბანკის სადავო საქმეები სასამართლოებში.

3) მოხსენება იმ მამულების თაობაზედ, რომელიც ბანკის დარჩა.

4) მოხსენება ბანკის მოხელეთათვის დამზოგველ-შემწევნელ კასის შესახებ.

5) მოხსენება ბანკში დასაგირავებლად წარმოდგენილ მამულების დასაფასებელ ინსტრუქციის შეცვლისა და დამატებისათვის.

6) მოხსენება ზედამხედველ კომიტეტის რეორგანიზაციისათვის.

7) ბანკის საკარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1904 წლ.

8) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, იმათ მაგიერ, რომელნიც რიგით თავს ანებებენ სამსახურს: გამგეობის წევრის ა. ნ. ფურცელაძისა და დამფასებელ კომისიის წევრთა: თ-დ გ. ს. ციციშვილისა და თ-დ გ. ი. რატიშვილის მაგიერ; აგრეთვე არჩევანი ერთის კანდიდატისა გამგეობის წევრისათვის და ორის კანდიდატისა დამფასებელ კომისიის წევრთათვის.

(3—2).

ქუთაისში
ს. ზ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

ახალი წიგნი
ს. ს. მელიქ-ადამოვი
ნაფიცი ვექილი
პრაქტიკული სახელმძღვანელო
სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად
ამიერ-კავკასიაში,
ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО
для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.
ფასი 1 მან.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტალურ სავაჭროში და ხიდიკელისა და გუტერბენგის მაღაზიეებში. ვინც ავტორისაგ დაიბარებს 10 ეკზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი
ლალატი
დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

ძვირფასი საჩუქარი ოქრო და ბრილიანტი
როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან
მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

იაფი გარნიტური
მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს, რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოუგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Лувръ“. Варшава $^{32}/_{328}$

აზიის რუსეთში დ ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—2)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების
ფოტოგრაფია
როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),
იჯარით აქვს
და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზედ, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი ტარასი სამსონის ძე მოშველაძე.

Дозволено цензурою Тифлисъ 14 апрѣля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.